ახალი განთიადი

„ბედნიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძგერს გული„

2019 წელი 28 აპრილი № 4 № 8145

ელფოსტა AxaliGantiadi@gmail.com

გილოცავთ!

ქრისტე აღდგა!

თეძმის წყალსაცავის ისტორიული პროექტი

“ჩვენი ამოსავალი წერტილი ყოველთვის გახლდათ სოფლად არსებული ეკონომიკური შესაძლებლობების მაქსიმალურად ათვისება, იმისათვის, რომ რაც შეიძლება სწრაფად გადავაქციოთ ქართული სოფელი თანამედროვე სოფლად”, - განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

უმსხვილესი საინვესტიციო პროექტის პრეზენტაციაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ თეძმის წყალსაცავის პროექტს ისტორიული უწოდა და აღნიშნა, რომ პროექტის მთავარი მიზანი ქართული სოფლის გაძლიერებაა.

“ჩვენ ვიწყებთ ძალიან მნიშვნელოვანი, მე ვიტყოდი ისტორიული პროექტის განხორციელებას, რომლის მთავარი მიზანია ქართული სოფლის გაძლიერება, ვინაიდან ძლიერი სოფელი ნიშნავს ძლიერ ქართულ რეგიონებს და ძლიერი რეგიონი ნიშნავს ძლიერ საქართველოს.

ჩვენთვის ქართული სოფლის განვითარება იყო ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი.

სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია ძლიერი საირიგაციო სისტემების მშენებლობა. საქართველოში ფაქტობრივად ბოლო 50 წლის განმავლობაში არ აშენებულა ახალი წყალსაცავები.

2012 წელს საქართველოში საირიგაციო სისტემები განლაგებული იყო მხოლოდ 40 000 ჰექტარზე. ჩვენ შევძელით და ბოლო ექვსი წლის განმავლობაში ეს ციფრი გავზარდეთ 110 000 ჰექტრამდე. ხშირად ჩვენი ოპონენტები ამბობენ, რომ საქართველოში სოფლის მეურნეობას არ აქვს პერსპექტივა. მე მიჩნდება კითხვა: როგორ შეიძლება დარგს ჰქონდეს პერსპექტივა, როდესაც საირიგაციო სისტემებიც კი არ არსებობდა საქართველოში?”, - განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

პრემიერ-მინისტრის თქმით, მდინარე თეძამზე აშენდება წყალსაცავი, რომელიც წყლით 10 000 მოქალაქეს მოამარაგებს და შესაძლებელი გახდება 7 000 ჰექტრის მოცულობის მიწის მორწყვა, რომელიც დღეს ფაქტობრივად გამოუყენებელია.

“ეს არის მართლაც უნიკალური პროექტი, რომელიც ახალ სიცოცხლეს შემოიტანს შიდა ქართლში და კონკრეტულად, კასპის რაიონში.

საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეებს შორის პირველ ადგილზეა წყალი და წყალთან დაკავშირებული რესურსები. შესაბამისად, წყლის რესურსების გამოყენებას გადამწყვეტი როლი აქვს, თუ რამდენად წარმატებული იქნება ქვეყნის ეროვნული ეკონომიკა”.

მთავრობის მეთაურის თქმით, წყალსაცავით კასპის მუნიციპალიტეტის 22 სოფელი და 9 700 მოქალაქე ისარგებლებს. პროექტში 71 მილიონი ლარის ინვესტიცია განხორციელდება და 500 ადგილობრივი დასაქმდება.

“განსაკუთრებით ხაზგასასმელია, რომ ასეთი პროექტები მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს სოფლის მეურნეობის სექტორში დასაქმებული ოჯახების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას. ქვეყნის ეკონომიკის მთავარი პრიორიტეტი გახლავთ, რომ დაძლეული იქნას არსებული, ყველაზე მტკივნეული გამოწვევა სიღარიბის სახით.

ჩვენი ამოსავალი წერტილი ყოველთვის გახლდათ სოფლად არსებული ეკონომიკური შესაძლებლობების მაქსიმალურად ათვისება, იმისათვის, რომ რაც შეიძლება სწრაფად გადავაქციოთ ქართული სოფელი თანამედროვე სოფლად”, - განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

პრემიერ-მინისტრის თქმით, წყალსაცავის აშენებით იქმნება შესაძლებლობა, რომ სისტემურად და თანამიმდევრულად განხორციელდეს ინფრასტრუქტურული და აგრარული პროექტები, წყალსაცავის მიმდებარე ტერიტორია იქცეს ტურისტულ ზონად, განვითარდეს ტურიზმი.

“დაბოლოს, სწორედ ასეთი მასშტაბური პროექტების განხორციელებით გახდება შესაძლებელი მივაღწიოთ რეგიონების წინსვლას და სოფლების ფეხზე დაყენებას, რაც, დარწმუნებული ვარ, საბოლოო ჯამში ნიშნავს ძლიერ ქვეყანას და ძლიერ საქართველოს”, - განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

თეძმის წყალსაცავიდან სასმელი წყლით 5 სოფელი მომარაგდება, კაშხალზე მოეწყობა ჰიდროელექტროსადგური.

წყალსაცავის პროექტი შედგენილია გარემოზე მინიმალური ზემოქმედებით. მშენებლობა მიმდინარე წელს დაიწყება და 47 თვეში დასრულდება.

კასპში ტექნოპარკის მშენებლობა იწყება

პროექტს, რომლის ღირებულება 2,2 მილიონი ლარია, საქართველოს პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე გაეცნო.

მთავრობის მეთაურმა ხაზი გაუსვა ინოვაციების განვითარების ხელშეწყობის აუცილებლობას და მსგავსი პროექტების ქვეყნის მასშტაბით განხორციელების მნიშვნელობას.

ტექნოპარკის მშენებლობა, რომელსაც საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდი აფინანსებს, წლის ბოლოს დასრულდება. პროექტის ფარგლებში აშენდება ორსართულიანი ნაგებობა, სადაც განთავსდება სამუშაო და სასწავლო ოთახები, ე. წ. ფაბ-ლაბი, საკონფერენციო და დამხმარე სათავსოები, სამუშაო სივრცე. ასევე იგეგმება ღია ტერასის მოწყობა სხვადასხვა აქტივობისთვის.

პროექტში გათვალისწინებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საჭიროებები.

პროფესიული სასწავლებლის მშენებლობა წლის ბოლოს დასრულდება

მთავრობის მეთაურმა კასპის პროფესიული სასწავლებლის სამშენებლო სამუშაოები დაათვალიერა.

200 სტუდენტზე გათვლილი პროფესიული სასწავლებლის მშენებლობა კასპში წლის ბოლოს დასრულდება. პროექტის ღირებულება დაახლოებით 3,9 მილიონი ლარია.

აღსანიშნავია, რომ სასწავლებელთან ერთად მოეწყობა სპორტული ინფრასტრუქტურა და ეზო.

თანამედროვე სტანდარტების პროფესიულ კოლეჯში რეგიონისთვის პრიორიტეტული სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული დარგების - მექანიზაციის, მებაღეობა-მეხილეობის სპეციალისტები და ვეტერინარები მომზადდებიან.

სასწავლებლის სტუდენტებს ასევე ექნებათ შესაძლებლობა, შეისწავლონ ელექტროშედუღება, მაღალი ძაბვის ელექტროობა, ელექტროსამონტაჟო სამუშაოები, ამწის ოპერატორ-მემანქანეობა.

სექტემბრის ბოლოს კასპში უეფას მეორე კატეგორიის სტანდარტების სტადიონი დაიწყებს ფუნქციონირებას

გრძელდება კასპის ფეხბურთის ცენტრალური მოედნის მოწყობის სამუშაოები. სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს საფეხბურთო სკოლის შენობაშიც. მუნიციპალიტეტის მოსახლეობა სამუშაოების დასრულების შემდეგ მიიღებს კეთილმოწყობილ ფეხბურთის მოედანს და საფეხბურთო სკოლის შენობას, რომელიც ხელს შეუწყობს კასპში ფეხბურთის აღორძინების პროცესს.

სექტემბრის ბოლოს კასპში უეფას მეორე კატეგორიის სტანდარტების სტადიონი დაიწყებს ფუნქციონირებას, სამშენებლო სამუშაოები საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტთან ერთად დაათვალიერა. მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ სპორტის განვითარების ხელშეწყობა და ამ მიმართულებით ახალგაზრდების წახალისება მნიშვნელოვანი პრიორიტეტია, შესაბამისად მსგავსი პროექტების განხორციელება მთელი ქვეყნის მასშტაბით იგეგმება.

კასპის უეფას მეორე კატეგორიის სტანდარტების სტადიონი, ხელოვნურსაფარიანი მოედნით, 520 მაყურებელზე იქნება გათვლილი. ამასთან ერთად, რეკონსტრუქცია ჩაუტარდება ცენტრალურ საფეხბურთო მოედანს, საფეხბურთო სკოლას და სავარჯიშო მოედანს. პროექტის ღირებულება 2,5 მილიონი ლარია.

პრემიერ-მინისტრთან ერთად სტადიონზე რეგიონის გუბერნატორი გიორგი ხოჯევანიშვილი და კასპის მაჟორიტარი დეპუტატი ირაკლი მეზურნიშვილი იმყოფებოდნენ. მთავრობის მეთაური კასპის სპორტკომპლექსსაც სტუმრობდა, სადაც ძიუდოსა და კალათბურთის დარბაზები დაათვალიერა და სპორტსმენებს გაესაუბრა.

ხსოვნა გულისა

30 წელი შესრულდა საქართველოში 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიიდან.

კასპის მუნიციპალიტეტის ადგილობრივმა ხელისუფლებამ, საზოგადოების წარმომადგენლებმა პატივი მიაგეს ამ დღის გმირების ხსოვნას.

ღონისძიება საქართველოს ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას სახელობის სკვერიდან დაიწყო. სკვერში მდებარე ეროვნული გმირის ბიუსტი, მამაკაცთა ფოლკლორული ანსამბლის "მოურავის" მიერ შესრულებული სიმღერის "შავლეგოს" ფონზე გვირგვინით შეამკეს.

წმინდა ვახტანგ გორგასლის სახელობის ტაძარში მოღვაწე მამა გიორგიმ გარდაცვლილთა სულის მოსახსენიებელი პარაკლისი ჩაატარა.

პროცესია შემდეგ გმირთა მემორიალისაკენ გაემართა და ყვავილებით შეამკეს. 9 აპრილისადმი მიძღვნილი ღონისძიება, კასპის გიორგი ხორგუაშვილის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დასრულდა.

9 აპრილის მოვლენები გაიხსენეს საპროტესტო აქციის მონაწილეებმა ნანა და გელა მერებაშვილებმა, ალეკო ლიპარტელიანმა.

ქვემო გომში გზის მოასფალტება მიმდინარეობს

სოფელ ქვემო გომში შიდა სახელმწიფო 5,5 კილომეტრი გზის მონაკვეთზე მოასფალტება დაიწყო. სამუშაოებს, რომელზეც 2 962 869 ლარი დაიხარჯება, შპს "იბოლია" და შპს "შარა" ახორციელებენ. სამუშაოს დასრულების შემდეგ მოსახლეობა კეთილმოწყობილი გზით ისარგებლებს.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს და სსიპ ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის ორგანიზებით კასპის მუნიციპალიტეტის მერიაში შეხვედრა გაიმართა. შეხვედრა უვიზო მიმოსვლის შესახებ საინფორმაციო კამპანიის მესამე ფაზის ფარგლებში ჩატარდა.

ევროკავშირის/შენგენის ზონაში უვიზო მიმოსვლის წესების, რისკების დაწესების დარღვევის, ევროკავშირის ქვეყნებში თავშესაფარის მიღების პროცედურების არამართლზომიერად გამოყენების შესახებ ისაუბრეს ელჩმა, ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური სასწავლო და კვლევითი ინსტიტუტის მკვლევარმა მამუკა ციხელაშვილმა და საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტის, ანალიზისა

შეხვედრა მუნიციპალიტეტის მერიაში

და დაგეგმარების სამმართველოს უფროსმა ბექა ზარანდიამ.

შეხვედრაზე დასმულ კითხვებს უპასუხეს სტეფანო კრეშენციმ, მამუკა ციხელაშვილმა და ბექა ზარანდიამ. კასპის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ ზაზა მარიდაშვილმა მადლობა გადაუხადა სტუმრებს სრული ინფორმაციის მიწოდებისათვის.

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება

ღია გაკვეთილი თემაზე

საჩვენებელი, სანახაობრივად ძალიან საინტერესო შემეცნებითი ღონისძიება გამართეს კასპის პირველი საბავშვო ბაგა-ბაღის /გამგე მზია ჭაღიაშვილი/ 4-5 წლიანი ჯგუფის აღსაზრდელებმა.

მუსიკის ღია გაკვეთილი თემაზე – "გაზაფხული", რომელიც წინასწარ დაიგეგმა, ერთგვარად შოუს ელემენტებსაც შეიცავდა და თითქმის ერთი საათის განმავლობაში მიმდინარეობდა, მასში 20-25 ბავშვი მონაწილეობდა.

მოკლედ, მუსიკის /მასწავლებელი შორენა ჯოჯიშვილი/ ღია გაკვეთილი დინამიურად დაიწყო. სანახაობრივად იგი იმდენად სახალისო იყო, რომ მეცადინეობაში არა მხოლოდ პატარები, სპეციალურად მოწვეული სტუმრებიც კი "ჩაერთვნენ".

საჩვენებელ ღია გაკვეთილს ესწრებოდნენ კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორი მანანა ხვთისიაშვილი, სპეციალისტები ნია ჯუხარიძე და მაია მაზმიშვილი, სტუმართა შორის იყვნენ აგრეთვე, ქალაქისა და სოფლების საბავშვო ბაგა-ბაღების მუსიკის მასწავლებლები, აღსაზრდელების მშობლები.

გაკვეთილი დაიწყო გამამხნევებელი, სახალისო ვარჯიშით, პატარები სხარტად, ადეკვატურად პასუხობდნენ მასწავლებლის კითხვებს, გულისყურით უსმენდნენ მუსიკას, ძალიან შთამბეჭდავი იყო მუსიკის თანხლებით ბავშვების მიერ შესრულებული რიტმული სავარჯიშოები, სადაც ნათლად გამოვლინდა პატარა აღსაზრდელების მუსიკის სმენის, რიტმის სწორად შეგრძნების უნარი.

გაკვეთილი მუსიკის მასწავლებელმა შორენა ჯოჯიშვილმა წარმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში, სადაც, ფაქტიურად ყველა ბავშვი აქტიურად და ხალისით მონაწილეობდა.

ღია გაკვეთილის ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი გახლდათ ძირითადი თემის, წელიწადის დროების განხილვა, ყურადღება გამახვილდა გაზაფხულზე.

ბავშვებმა თავისებურად ახსნეს წელიწადის ამ ლამაზი და გამორჩეული დროის მნიშვნელობა და რაც მთავარია, შესატყვისი სიმღერებიც წარუდგინეს აუდიტორიას, პატარები მღეროდნენ გაზაფხულის მახარობელ ყვავილებზე, პარალელურად გაკვეთილის მსვლელობისას უშეცდომოდ, სწრაფად უპასუხეს მასწავლებლის მიერ დასმულ შეკითხვებს მუსიკალურ თემებზე, მაგალითად, ნოტების ცოდნა. აგრეთვე, უშეცდომოდ დაასახელეს მასწავლებლის მიერ ნაჩვენები მუსიკალური ინსტრუმენტების /ფანდური, დოლი, ფორტეპიანო, სალამური, გარმონი და სხვა/ სახელწოდებები, ბავშვები კარგად ერკვევიან, ესა თუ ის მუსიკალური ნაწარმოები მხიარულია თუ სევდიანი,

ერთი სიტყვით, ჯგუფმა, რომელშიც 4-5 წლის ასაკის ბავშვები ირიცხებიან, როგორც იტყვიან, ნამდვილი "მასტერ კლასი" უჩვენეს სტუმრებს...

- საგანმანათლებლო პროგრამებისა და მეთოდოლოგიური სწავლების პროცესის დაძლევა ჩვენი უპირველესი მიმართულება გახლავთ, – განმარტავს კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორი მანანა ხვთისიაშვილი, – საბავშვო ბაღის აღმზრდელ-მასწავლებელს, დაწესებულებაში მომუშავე პერსონალს აქვს კარგად შემუშავებული, მეთოდოლოგიურად დახვეწილი და ეფექტური სასწავლო პროცესის პროგრამა, რომელიც გამოიხატება კულტურულ-შემეცნებითი ღონისძიებებითა და მხიარული ესტაფეტებით, ღია გაკვეთილებით, ეს ყველაფერი, ცხადია, მნიშვნელოვნად უწყობს ხელს აღსაზრდელების სწორად განვითარებას, მოქმედების მოტივაციის გაზრდასა და გააქტიურებას.

მართლაც რომ აქტიურები და მოტივირებული იყვნენ ბაღის პატარა აღსაზრდელები: ბარბარე თინიკაშვილი და თეკლა გულიკაშვილი, ანასტასია ბერიანიძე და ლიზი მანჯავიძე, მარიამ გაბოძე და ელენე კოხრეიძე, ნუცა ხინჩიგოვი და თიკო ობგაიძე, რომლებსაც ძალიან ლამაზი გამოსვლა ჰქონდათ და ღია გაკვეთილის სტუმრების დიდი მოწონება დაიმსახურეს...

ღია გაკვეთილის დასრულების შემდეგ მოხდა შეჯამება, ყველა სტუმარს, სპეციალისტსა თუ მშობელს საშუალება ჰქონდა გამოეთქვა აზრი აღნიშნულ ღონისძიებასთან დაკავშირებით.

ალმოჩენა

მეოთხე საუკუნისდროინდელი სამაროვანი

ცოტა ხნის წინ ხოვლელმა ზურაბ ბიჭიკაშვილმა თავის სახლთან, /სოფლის საჯარო სკოლასთან ახლოს/ სრულიად მოულოდნელად მეოთხე საუკუნისდროინდელ სამაროვანს "მიაგნო". საქმე ის გახლავთ, რომ მან ეზოში სამშენებლო სამუშაოების დროს, მიწის სიღრმეში უძველესი სამარხი აღმოაჩინა... არქეოლოგიის დარგის სპეციალისტების განმარტებით მიწის ზედაპირიდან 0,6 მეტრზე გამოვლინდა ძველი წელთაღრიცხვის მეოთხე საუკუნის მართ-

კუთხა ქვასამარხი /ზომები: 0,88:0,7 მეტრი/, რომელიც დამხრობილია აღმოსავლეთიდან დასავლეთით. სამარხში ადამიანი მოკრუნჩხულ პოზაში, თავით დასავლეთით დაუკრძალავთ. მათივე კომენტარით, სამარხში აღმოჩნდა თიხის მსხლისებური ფორმის ხელადა და კოჭობი, ბრინჯაოს ერთი თავგაბრტყელებული და ორნამენტირებული საკინძი, სარდიონის მძივი, /11 ცალი/ და მინის საკიდი... ზემოთ ნახსენები ნივთების გარდა, სამარხში კიდევ ერთი, მცირე ზომის ჭურჭელი იდო, რომელიც დაშლილა.

— მართლაც რომ საოცარი სიფრთხილე და ოპერატიულობა გამოიჩინა ხოვლის მკვიდრმა ზურაბ ბიჭიკაშვილმა, რომელმაც ამ სენსაციური აღმოჩენისთანავე იმწამსვე შეგვატყობინა, — საუბრობს კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანების დირექტორი გივი მელაძე, — რაც ყველაზე მნიშვნელოვანი და საგულისხმოა, მანვე, აღმოჩენილი ისტორიული ძეგლის დაცვის მიზნით, ეს უიშვიათესი და უნიკალური ნივთები შეინახა და სამარხი ფიცრებით გადახურა.

მოკლედ, აღმოჩენილი სამაროვანის სანახავად და სიტუაციის შესაფასებლად საქართველოს კულტურული მემკვიდრეობისა და ძეგლთა დაცვის სააგენტომ ხოვლეში მოავლინა ვახტანგ შატბერაშვილი / საქართველოს ეროვნული მუზეუმი/ და თამარ ნინიაშვილი /ძეგლთა დაცვის სააგენტო/. რასაკვირველია, ეს უნიკალური სიძველე ბოლომდე არ არის შესწავლილი და გამოკვლეული და ბუნებრივია, იგი საჭიროებს მეცნიერულ შესწავლასა და კვლევას. რა თქმა უნდა, გამორიცხული არ არის, რომ მის გვერდით, შესაძლოა კიდევ იყოს სხვა სამარხიც, ამიტომ მკვლევართა აზრით აუცილებელია აღმოჩენილი სამარხის ბოლომდე გათხრა და შესწავლა / გაწმენდა, ჩახატვა, ფოტოფიქსაცია/... ამდენად, აღმოჩენის გარშემო აუცი-

ლებელია 12 კვადრატული მეტრის ფართობის ტერიტორიაზე და ერთი მეტრის სიღრმეზე საკონტროლო თხრილის გავლება.

ისიც ითქვა ხაზგასმით, რომ გათხრების შედეგად მოპოვებული უძველესი არქეოლოგიური მასალა გადაეცემა გიორგი ხორგუაშვილის სახელობის კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს.

ქართული ენის კვირეულის ფარგლებში

შენ ჩემო მწეო და ჩემო მზეო,
შენ ჩემო ღმერთო, შენ ერთადერთო,
შენ ხარ რწმენა ჭაგეთა ჩემთა,
და იყავნ რწმენად შენ შვილთა ჩემთა!

ორ მნიშვნელოვან თარიღს, ქართული ენის დღესა და ცნობილი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის გიორგი შატბერაშვილის ხსოვნას მიეძღვნა ღონისძიება, რომლის ორგანიზატორები გახლდათ კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანება და გიორგი ხორგუაშვილის სახელობის კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, კასპის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი, საინფორმაციო მხარდამჭერი გაზეთი "ახალი განთიადი"... საზეიმო ღონისძიება კავთისხევიდან დაიწყო. სახელგანთქმული მწერლის მშობლიურ კავთისხევში, სოფლის ცენტრში აღმართულ გიორგი შატბერაშვილის ბიუსტთან თავი მოიყარეს კასპის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს ხელმძღვანელმა მუშაკებმა, მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურის წარმომადგენლებმა, მოსწავლეებმა და ახალგაზრდებმა,

დედაქალაქიდან სპეციალურად შეხვედრაზე მოწვეულმა გიორგი შატბერაშვილის ახლობლებმა. მოწვეულმა სტუმრებმა და მუზეუმის თანამშრომლებმა მწერლის ხსოვნას წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს და ყვავილების გვირგვინით შეამკეს მისი ბიუსტი.

შემდეგ კი, ღონისძიების არანაკლებ საინტერესო, ლიტერატურული ნაწილი კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში შედგა... დარბაზში შეკრებილ საზოგადოებას, რომელთა შორის იყვნენ კულტურის, მუზეუმებისა და ბიბლიოთეკების გაერთიანებების წარმომადგენლები, შესავალი სიტყვით მიმართა გიორგი ხორგუაშვილის სახელობის კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორმა გიორგი ჩადუნელმა. რამდენიმეწუთიანი გამოსვლის შემდეგ მან სიტყვა დაუთმო მოსწავლე-ახალგაზრდობას... როგორც ყოველთვის კასპის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მხარეთმცოდნეობის წრის /ხელმძღვანელი ნანა მერებაშვილი/ მოსწავლეებმა აქაც მიიპყრეს საზოგადოების ყურადღება და თავიანთ გამოსვლებში ძალიან ლამაზად, შესაშური სულისკვეთებით წაიკითხეს ნაწყვეტები გიორგი შატბერაშვილის რომანებიდან და მოთხრობებიდან.

გიორგი შატბერაშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე საინტერესო მოგონებებით გამოვიდნენ მწერლის ძმისწულები: ლიტერატორი ივანე და არქეოლოგი ვახტანგ შატბერაშვილები... გიორგი შატბერაშვილის ღვაწლსა და

დამსახურებაზე ისაუბრეს კასპის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის სამსახურის უფროსმა თეა ხორბალაძემ, მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანების დირექტორმა გივი მელაძემ, კასპის ბიბლიოთეკების გაერთიანების დირექტორმა ეთერ ჩადუნელმა, ქალაქის სპორტკომპლექსის წარმომადგენელმა ამირან ტალახაძემ, ბიბლიოთეკების გაერთიანების სპეციალისტმა ლია მენაბდიშვილმა, პედაგოგმა მანანა ყაბანაშვილმა... ღონისძიების მსვლელობის პროცესში დარბაზში დამონტაჟებულ ეკრანზე მიმდინარეობდა მწერლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ვიდეო-მასალის ჩვენება, რომელიც ტექნიკურად უზრუნველყო მუზეუმის საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტმა ხატია ხორგუაშვილმა. ღონისძიების დასრულების შემდეგ შეხვედრის მონაწილეებმა მოწვეულ სტუმრებთან ერთად სამახსოვრო ფოტოც გადაიღეს.

კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანება.

"ქრისტეს მხედრები"

"თუ მთაწმინდის ტაძარს დახურავთ, აიღეთ და მეც თავი მომკვეთეთ" სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი ეფრემ მეორე (გრიგოლ სიდამონიძე).

✦ კასპის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ჩატარდა ღონისძიება სახელწოდებით "ქრისტეს მხედრები", ეს იყო თემა, რომელიც მიზნად ისახავდა ჩვენი რაიონის სასულიერო და საზოგადო მოღვაწეების, წმინდანად შერაცხული ხუთი ძმა კარბელაშვილების, ახალმოწამე დეკანოზის პანტელეიმონ გედევანიშვილისა და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ეფრემ მეორის ცხოვრებისა და მოღვაწეობის გაცნობას... მოსწავლეთა სახლის მხარეთმცოდნეობის წრის ბავშვებმა, მარიამ თიგიშვილმა, უჩა გოგოლაძემ, ქეთი ჭალისურმა, თამარ გოჭოშვილმა, მაია თაბუაშვილმა, ანზორ დალაქიშვილმა, ნანა ილურიძემ, თემურ ირემაშვილმა, ანა ბაისონაშვილმა, ბექა რომაშკომ, ნინო ბერუაშვილმა, ლუკა და მარიამ მერებაშვილებმა დაუვიწყარი, ემოციური შეხვედრა გაუმართეს მოწვეულ სტუმრებსა და პედაგოგ-მასწავლებლებს, თანატოლებს.

— მოგეხსენებათ, ჩვენი წრის მოსწავლეები ყოველთვის დიდი ინტერესით და მონდომებით ეკიდებიან რელიგიური თემატიკის გაცნობასა და შესწავლას, მითუმეტეს, როდესაც საკითხი ჩვენი რაიონის საამაყო წარსულის მქონე პირებს ეხება, — საუბრობს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მხარეთმცოდნეობის წრის ხელმძღვანელი ნანა მერებაშვილი, — ჰოდა, ზუსტად ასე მოხდა ამჯერადაც, მათ დროის სულ მცირე მონაკვეთში მოახერხეს წმინდანთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის გაცნობა, გააზრება, თანაც ისე, რომ სხვებისთვისაც შეექმნათ დასამახსოვრებელი, სრულიად განსხვავებული განწყობა.

... დიახ, ბავშვები თითქმის საათნახევრის განმავლობაში კითხულობდნენ ამონარიდებს სასიქადულო მამულიშვილების ცხოვრებიდან, იმის შესახებ, თუ რა დიდი დამსახურება მიუძღვით მათ სამშობლოს თავისუფლებისა და ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლაში. ხატოვნად, შთამბეჭდავად კითხულობდნენ წმინდანთა გმირული თავგანწირვის ამბებს: კავთისხეველი ახალმოწამე დეკანოზი პანტელეიმონ გედევანიშვილი, რომელმაც განსაცდელის ჟამს არ მიატოვა, კალთა გადააფარა თავის სულიერ შვილებს და მათთან ერთად დახვრიტეს ჯალათებმა, ყვებოდნენ ძმები კარბელაშვილების სულშიჩამწვდომ ისტორიებს, მოსწავლეებმა დამსწრე საზოგადოებას ვრცლად, საინტერესოდ წარუდგინეს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ეფრემ მეორის ცხოვრება, ღვაწლი და დამსახურება.

ეფრემ მეორე, ერისკაცობაში გრიგოლ სიდამონიძე დაიბადა 1896 წლის 19 ოქტომბერს, გორის მაზრაში, სოფელ დოესში. თორმეტი წლის ასაკში დაობლებულა, მამამ, შიომ, რომელიც იმხანად მედავითნე იყო, შვილი გორის სასულიერო სასწავლებელში მიაბარა. სასწავლებლის დასრულების შემდეგ გრიგოლ სიდამონიძემ თბილისის სასულიერო სემინარიაში განაგრძო სწავლა, რომლის დამთავრების შემდეგ, უფრო ზუსტად კი, 1925 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე სიტყვიერების განყოფილებაზე სწავლობდა... 1922 წლის 17 იანვარს გრიგოლი ბერად ალიკვეცა ეფრემის სახელით, მეორე წელსვე იგი დაინიშნა შიომღვიმის მონასტრის წინამძღვრად, შემდეგ იყო არქიმანდრიტი და მცხეთა-თბილისის ეპარქიის ქორეპისკოპოსი. საქართველოს მომავალი პატრიარქი ეფრემი 1927 წელს გახდა მღვდელმთავარი. სიონში ინახებოდა ტრაპეზის სახარება, რომელიც ამჟამად დაცულია სვეტიცხოვლის ტაძარში და სახარებას აქვს წარწერა: " მე მიტროპოლიტმან სიდამონიძემ შევწირე ესე სახარება". 1930 წელს იგი დაინიშნა ურბნისის ეპარქიის მმართველად, 1960 წლის 10 იანვარს, საქართველოს პატრიარქის მელქისედეკ მესამის გარდაცვალების შემდეგ, 20 თებერვალს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად აირჩიეს მიტროპოლიტი ეფრემი... საქართველოს სულიერ საჭეთმპყრობელს უმძიმეს პერიოდში მოუხდა ერის წინამძღოლობა, პატრიარქობამდე, ღმერთისა და საქართველოს სიყვარულისათვის იგი რამდენჯერმე იმყოფებოდა გადასახლებაში, გადასახლებიდან გათავისუფლებული, ჯანმრთელობა შერყეული იმდენად მძიმე მდგომარეობაში იყო, რომ ნაბიჯის გადადგმაც კი არ შეეძლო, ეგონათ, საქართველომდე ვეღარცკი ჩააღწევსო, იმასაც ამბობდნენ, რომ მისი საბუთები სტალინის მაგიდაზე მოხვედრილა, გადასახლებულთა შორის სტალინს უნახავს გორის მაზრიდან გრიგოლ შიოს ძე სიდამონიძის საბუთებიც, მათ ხომ ერთპერიოდში უხდებოდათ სწავლა სასულიერო სემინარიაში, თითქმის ერთი ასაკისანი იყვნენ და ცხადია, ეფრემის განთავისუფლებას საპყრობილიდან სწორედ მას მიაწერდნენ... ეფრემ მეორის მოღვაწეობიდან ცნობილია ერთი ასეთი ფაქტიც, მაშინ, როდესაც საქართველოში მასიურად დაიწყო სასულიერო სასწავლებლების, ეკლესია-მონასტრების დახურვა და მხოლოდ თითოოროლა ტაძარიღა მოქმედებდა და ჯერი მიდგა მთაწმინდის მამადავითის ტაძარზე, მინისტრთა საბჭოს რელიგიის საქმეთა რწმუნებულის აპარატმა პირდაპირ მოსთხოვა უწმინდეს ეფრემს მამადავითის დახურვა. აი, მაშინ პატრიარქმა ასეთ ხერხს მიმართა, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნაჯახით ხელში ესტუმრა და განუცხადა: თუ მთაწმინდის ტაძარს დახურავთ, აიღეთ და მეც თავი მომკვეთეთ და თუ თქვენ არ გააკეთებთ ამას, მაშინ მე მოვიკლავ თავს და მთელი მსოფლიო გაიგებსო. სიტყვიერად კი გამოცხადდა ტაძარი დაიხურაო, მაგრამ იქ, ერთი წუთითაც კი არ შეჩერებულა წირვა-ლოცვა.



ყველაზე საოცარი კი, ის გახლავთ, რომ იმხანად, კავშირის მასშტაბით, ერთმანეთის მიყოლებით, ყველგან იხურებოდა სასულიერო სასწავლებლები, სემინარიები და სწორედ მაშინ უწმინდესმა ეფრემ მეორემ თბილისში გახსნა ორწლიანი სალვთისმეტყველო-სამოძღვრო სასწავლებელი, რომელიც შემდეგ სემინარიად გადაკეთდა და სხვათა შორის, ამ სასწავლებლის პირველი რექტორი გახლდათ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე.

უწმინდესი და უნეტარესი ეფრემ მეორე გახლდათ მსოფლიო საეკლესიო საბჭოს წევრი, მის უწმინდესობას მინიჭებული ჰქონდა ღვთის მეტყველების დოქტორის სამეცნიერო ხარისხი, მის კალამს ეკუთვნის ნაშრომები ქართული მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ისტორიის დარგში... 47 წელი გავიდა მისი გარდაცვალებიდან, იგი აღესრულა 1972 წლის 7 აპრილს, ხარება დღეს, დაკრძალულია თბილისში, სიონის საკათედრო ტაძარში.

მოსწავლეთა მიერ გამართულ შეხვედრას ესწრებოდა და დადებითად შეაფასა წარმოდგენილი შემეცნებითი ღონისძიება კასპის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების დირექტორმა ლალი ჯანჯალაშვილმა. სიტყვებით გამოვიდნენ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მენეჯერი ლელა პეტრიაშვილი, სახელოვნებო სკოლების გაერთიანების სპეციალისტი იზაბელა კობიაშვილი, მშობელი მარიამ კანთელაშვილი... ღონისძიება მხატვრულად გააფორმა მოსწავლეთა სახლის ხატვის წრის ხელმძღვანელმა მაკა თათრიშვილმა.

კასპის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანება.

კონკურსი – ,,ეტიუდების საუკეთესო შემსრულებლები,,

კავთისხევის სამუსიკო სკოლაში /მენეჯერი მზია ნადირაძე/ ჩატარდა მუსიკალური კონკურსი "ეტიუდების საუკეთესო შესრულებისათვის".

ნორჩმა მუსიკოს-შემსრულებლებმა სანიმუშოდ წარმოადგინეს ტექნიკური მიმართულების ნაწარმოებები...

კონკურსს ესწრებოდნენ კასპის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების წარმომადგენლები, სკოლის მოსწავლეების მშობლები და სოფლის აქტივის წევრები.

კონკურსის ბოლო აკორდი გახლდათ გამარჯვებულების დაჯილდოების ცერემონიალი, რომელმაც ეს ღონისძიება კიდევ უფრო დასამახსოვრებელი და შთამბეჭდავი გახადა...

მოკლედ, კონკურსში გამარჯვებული მუსიკოს-შემსრულებლები დაჯილდოვდნენ პირველი, მეორე და მესამე ხარისხის სიგელებით.

— საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ზოგიერთ მოსწავლეს სახლში ინსტრუმენტიც კი არ გააჩნია, — განაცხადეს სახელოვნებო სკოლების წარმომადგენლებმა და ჟიურის წევრებმა იზაბელა კობიაშვილმა და დემურ ღვინაძემ.

თუმცა კონკურსანტებმა შეძლეს და მოახერხეს პროფესიული დონის ჩვენება, ცხადია, ეს ყველაფერი სამუსიკო სკოლის მთელი პედაგოგიური კოლექტივის, კერძოდ კი, მზია ნადირაძისა და მაია სებისკვერაძის დაუღალავი შრომის შედეგია.

დაბოლოს, მასწავლებლებსა და მოსწავლეებს მიეცათ რეკომენდაცია, ღონისძიებები კიდევ უფრო გაფართოვდეს და მონაწილეობა მიიღონ რეგიონალურ კონკურსებში...

კონკურსის დასრულების შემდეგ მოსწავლეებმა და მშობლებმა მადლობა გადაუხადეს მოწვეულ სტუმრებს და მათთან სამახსოვრო ფოტოც გადაიღეს.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მიტროპოლიტის, ჭიჭინდალის და ცხუმ-სვეტიცხოვლის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ჭანგრძნეგა მოთხოვლეგულთა სულის მოსახსენებლად

ყოველი ოჯახი მძიმედ განიცდის უახლოესი წევრის გარდაცვალებას და გამოხატავს თავის წუხილს, მაგრამ ბოლო დროს ეს დამახინჯებული ფორმით ვლინდება.

ხშირია შემთხვევა, როცა ახლობლები მრავალი წლის ან მთელი სიცოცხლის მანძილზე არ იხდიან შავ სამოსს და ჩამოშორებულნი არიან ყოველდღიურ ცხოვრებას.

უსაზღვრო გლოვა, გოდება, ტირილი მეტყველებს ადამიანის ურწმუნოებაზე, იმაზე, რომ მას არ სწამს ღმერთი, არ სწამს სულის უკვდავება და თვლის, რომ გარდაცვლილი სამუდამოდ დაკარგულია მისთვის, ამით კი ჭირისუფალი უდიდეს ცოდვას იღებს თავის თავზე, რადგან იგი არასწორი ქცევით მეტად ამძიმებს გარდაცვლილის უკვდავ სულს, ამძიმებს თავისი ოჯახის ცხოვრებას.

ყველამ უნდა იცოდეს, რომ ადამიანის გარდაცვალება არ ნიშნავს მის მოსპობას. ადამიანის სული ცოცხალია, უკვდავია და იგი მარადიულ ცხოვრებაში იმკვიდრებს იმ ადგილს, რასაც თავისი სარწმუნოებითა და ქცევით იმსახურებს.

მიწიერი ჩვენი ცხოვრება არის მომზადება მარადიულობისათვის, იგია თითოეული ჩვენთაგანისათვის უდიდესი გამოცდა.

ბედნიერია, ვინც მართლმადიდებელი სარწმუნოებით, სიყვარულითა და კეთილი საქმით წარდგება ამ გარდაუვალი დღის წინაშე და მართალთა სავანის მკვიდრი გახდება.

ხშირია შემთხვევა, როცა კეთილი ადამიანი ტოვებს ამ წუთისოფელს, ანდა მცირე ასაკისა შეერთვის მარადიულობას, ამაშიაც ჩვენ უნდა დავინახოთ განგება უფლისა; ღმერთს ისინი ნაკლებად ცოდვილნი მიჰყავს თავისთან.

ყოველივე ამის გამო განვაჩინებთ:

1. ავადმყოფს აუცილებლად უნდა მოუყვანოთ მოძღვარი აღსარებისა და ზიარებისათვის, რადგან წმინდა ზიარება არის საკურნებელი სულისა და ხორცისა და ხშირია შემთხვევა, როცა წმინდა ზიარებით სასწაულებრივად განკურნებულა ადამიანი; ასევე, მეტად კარგია ავადმყოფისათვის ზეთის კურთხევა.

2. გარდაცვალების შემთხვევაში პირველივე დღიდან დასაფლავებამდე მიცვალებულის თავთან ჩაუქრობლად უნდა ენთოს სანთელი და კანდელი, უნდა იდგეს ხატი, ხორბალი, წყალი, ღვინო, მარილი და დღედაღამ ახლობლების მიერ უნდა იკითხებოდეს დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნები.

3. ფსალმუნის კითხვა (თუნდაც დღეში მხოლოდ ერთი კანონის) სასურველია, დასაფლავების შემდეგ ერთი წლის მანძილზე მაინც გაგრძელდეს.

4. გარდაცვლილს გულზე უნდა ეკიდოს ნაკურთხი ჯვარი.

5. თუ მიცვალებულის ახლობლები მოუნათლავია, კარგია თუ ისინი გარდაცვლილის დასაფლავებამდე მოინათლებიან; თუ მიცვალებულია მოუნათლავი, მისი მონათვლა არ შეიძლება.

6. საერთო პანაშვიდის დროს სასურველია საერო სიმღერებისა და მუსიკის ნაცვლად შესრულდეს საეკლესიო საგალობლები.

7. მიცვალებული უნდა დაიკრძალოს გარდაცვალებიდან 3-5 დღის განმავლობაში.

8. მიცვალებულს არ უნდა ჩაატანოთ ზედმეტი ტანსაცმელი და სხვა რაიმე ნივთი.

9. დასაფლავების დღეს, დილით ან წინა ღამეს მოძღვარმა უნდა აუგოს წესი მიცვალებულს და უკურთხოს საფლავის მიწა, ღვინო, პური, მარილი, წყალი.

10. დასაფლავების დღიდანვე უნდა დაიდგას მღვდლის მიერ ნაკურთხი დროებითი ჯვარი (ხის, ლითონის ან სხვა მასალის), რადგან უჯვარო საფლავს, წმინდა მამების სწავლებით ეშმაკი ეპატრონება.

11. გარდაცვლილის დაკრძალვის შემდეგ მისი სულის მოსახსენებლად მზადდება მოკრძალებული ქელეხი მხოლოდ უახლოესი ნათესავებისა და ახლობლებისათვის, ქელეხი არ უნდა გაგრძელდეს დიდხანს.

უკეთუ ადამიანი მარხვის დროს გარდაიცვალა, საჭმელი მზადდება მხოლოდ სამარხვო.

12. თუ ადამიანი გარდაიცვალა ხსნილში, კარგია, თუ მისი ახლობლები გარდაცვლილის დასაფლავებამდე შეინახავენ მარხვას.

13. გარდაცვალებიდან 39-ე დღეს მოძღვარმა უნდა შეასრულოს პანაშვიდი, ხოლო მეორმოცე დღეს და წლისთავზე მიცვალებულისათვის უნდა დამზადდეს საკურთხი და ეკლესიაში შესრულდეს შეკვეთილი წირვა და პანაშვიდი.

14. მიცვალებულის ორმოცი უნდა გადაიხადოს გარდაცვალებიდან ზუსტად მეორმოცე დღეს, ან წინა დღეს, რადგან მეორმოცე დღეს ხდება გარდაცვლილის სულის დამკვიდრება მისთვის განკუთვნილ სავანეში.

წლისთავიც უნდა გადაიხადონ გარდაცვალებიდან ზუსტად ერთი წლის შემდეგ, ორივე შემთხვევაში მიცვალებული სულის საოხად გამზადებული საჭმელი მარხვაში უნდა იყოს სამარხვო, ხსნილში – სახსნილო.

15. ყოველ წელიწადს მიცვალებულთა ხსენების დღეს მისი ახლობლები უნდა ამზადებდნენ საკურთხს, რომელსაც დილით, წირვის დაწყების წინ მიიტანენ ტაძარში პანაშვიდისათვის.

16. მეტად კარგია თუ მიცვალებულის ახლობლები გააკეთებენ საკურთხს და ეკლესიაში მოძღვარს შეასრულებინებენ პანაშვიდს გარდაცვლილის დაბადების დღის, გარდაცვალებისა და ანგელოზის დღეებში. საკურთხი, ზეთი, ღვინო, წანდილი ან კოლიო (სხვა საჭმელიც შეიძლება).

17. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მიცვალებულისათვის, თუ მისი ახლობლები ყოველ შაბათ-კვირას და დღესასწაულის დღეებში ესწრებიან წირვა-ლოცვას, ეზიარებიან და სეფისკვერს აგზავნიან საკურთხეველში გარდაცვლილის სულის მოსახსენებლად.

18. ქრისტიანის საფლავი არ უნდა იყოს მდიდრული, მიცვალებულის სულისთვის უკეთესია, თუ თანხა გაჭირვებულთ დაურიგდებათ.

19. მოძღვრის მიერ საფლავის კურთხევა კარგია მიცვალებულთა მოხსენების დღეებში.

20. ორმოცი დღის შემდეგ გარდაცვლილის ტანსაცმელი და ნივთები უნდა დაურიგდეს გაჭირვებულთ.

21. თვითმკვლელობით აღსრულებულის და მოუნათლავისათვის საეკლესიო წესების შესრულება საეკლესიო კანონების თანახმად აკრძალულია. მათ სახელზე მხოლოდ მოწყალება შეიძლება გაიცეს, საერთოდ მიცვალებულის სახელზე მოწყალების გაცემა მეტად კარგია.

22. თუ ფსიქიურად დაავადებული ადამიანი მოიკლავს თავს, მისთვის საეკლესიო კანონის თანახმად საეკლესიო წესების შესრულება ნებადართულია..

23. გარდაცვლილის ახლობლებს ეძლევათ ლოცვა-კურთხევა, ატარონ შავი ტანსაცმელი 40 დღე ან არაუმეტეს 1 წელი.

ერთი წლის შემდეგ შავი სამოსი აუცილებლად უნდა გაიხადოს ყველამ, შვილის, მეუღლის, ან მეტად ახლობელი ადამიანისათვის სიყვარული უნდა გამოიხატოს არა შავი სამოსის ტარებით, არამედ ლოცვით და მიცვალებულის სულისთვის ღვთის სათნო კეთილ საქმეთა აღსრულებით.

სპორტული პანორამა

ჭიდაობა: კომპლექსის საგაზაფხულო შიდა-პირველობები

* 20 მარტი – კომპლექსის სამბოს საწვრთნელ-სამოსწავლო ჯგუფების აღსაზრდელები 11 წონით კატეგორიაში გამოიცადნენ. სიგელებით დაჯილდოვდნენ გამარჯვებულები: ერეკლე მჭედელაძე, თემურ გოგრიჭიანი, ალეკო ხიზამბარელი, თორნიკე ნაგელიშვილი, გურამ სეხნიაშვილი, ვასილ მერებაშვილი, გიორგი ხიზამბარელი, გიგა ხორგუაშვილი, ჯუმბერ თაბუაშვილი, ბექა მარქარაშვილი და გიორგი თვაური (წახალისდნენ პრიზიორებიც).

* 27 მარტი – ნორჩმა ძიუდოისტებმა ძალები მოსინჯეს 3 ასაკობრივ ჯგუფში. ყველაზე უმცროსთაგან (9-10-წლიანებში) იყოჩაღეს: ილია შარიფაშვილმა, ერეკლე მჭედელაძემ, ლუკა მღებრიშვილმა, ლუკა ჩადუნელმა, სოსო ბეგლარაშვილმა და ვოვიკო კონიაშვილმა; 11-12-წლიანებიდან სხვებს დაემჯობინენ: თემურ ოდოშაშვილი, ალეკო ხიზამბარელი, თორნიკე გორჯოლაძე, ნიკა პაიაშვილი, ბექა ლაფერაშვილი, ნიკა ბასიაშვილი და ვანო ჭიხინაშვილი; ხოლო 13-14 წლის ყმაწვილთაგან გამარჯვებები დაინარჩუნეს: გურამ სეხნიაშვილმა, გუგა გრიქუროვმა, ვახტანგ მერებაშვილმა, დაჩი ჩერქეზიშვილმა, გიორგი ნათაძემ, სანდრო ახლოურმა და თამაზ თვაურმა (ყველაზე მეტი გამარჯვებული – 7 – სოფელ მეტეხიდანაა).

* 13 აპრილი – საგაზაფხულო შიდაპირველობა მოეწყო თავისუფალი სტილის სექციის მოზარდებისთვისაც.

სხვადასხვა...

* სპორტკომპლექსის დირექციამ (დირექტორი გიორგი ნიპარიშვილი) კარგი საჩუქარი მოუმზადა ნორჩ სპორტსმენებს: 3 დღის (29-31 მარტი) განმავლობაში მათ დიდი სიხარული და სიამოვნება მიანიჭა დედაქალაქში გამართული "თბილისის გრან პრის" გათამაშებაზე დასწრების შესაძლებლობით. ჭიდაობა ძიუდოში მსოფლიოს გამოჩენილი სპორტსმენების ტატამზე ხილვის საშუალება მიეცა წარმატებულ მოჭიდავეთა ერთ ჯგუფს, რომელშიც შედიოდნენ: თორნიკე გორჯოლაძე, ეკა რაზმაძე, ანი აბუაშვილი, გიორგი ლალიაშვილი, ვალერი მღებრიშვილი, ბექა მარქარაშვილი, გიორგი რთველიაშვილი, დაჩი ჩერქეზიშვილი, ლუკა შეშაბერიძე, გუგა ჩერქეზიშვილი, სოსო ჟივიძე, კახა ხინიზოვი, გიორგი ხინიზოვი, ვასილ მერებაშვილი...

* 3 აპრილს დაფუძნდა შიდა ქართლის ქართული ჭიდაობის სამხარეო ფედერაცია. მის პრეზიდენტად არჩეულია იოსებ მამულაშვილი – კასპელი ვეტერანი მოჭიდავე, ამჟამად კასპის სპორტკომპლექსის წარმატებული მწვრთნელი; ვიცეპრეზიდენტად – პაატა ღვინიაშვილი, საქართველოს 2-გზის აბსოლუტური ფალავანი ქართულ ჭიდაობაში (ქარელი), გენმდივნად – ომარ ლომიძე, ვეტერანი მოჭიდავე (ხაშური).

* სპორტის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, რომელიც 6 აპრილს აღინიშნა, ჩატარდა ქ. კასპის საჯარო სკოლების მოსწავლეთა პირველობა 64-უჯრიან შაშში (კამპანია "თეთრი ბარათის" ფარგლებში). გუნდები წარმოდგენილი იყვნენ 4-4 მონაწილით (2-2 გოგონა და ვაჟი). პირად ჩათვლაში გამარჯვებულის სახელი ირგუნა ზურაბ კუდუხოვმა (მე-3 სკოლა), II იყო ნანა გურწიშვილი (მე-4 სკოლა), III – ლაშა ხუციშვილი (პირველი სკოლა).

საერთო გუნდურ ჩათვლაში ქულათა მაქსიმუმი დააგროვა პირველი სკოლის ნაკრებმა, II ადგილი დაიკავეს მე-2, ხოლო III მე-4 სკოლის მოსწავლეებმა.

* ყმაწვილმა მოჭადრაკეებმა: პირველ სკოლელმა პირველკლასელმა ანდრია ზაქარაშვილმა (რომელსაც ავარჯიშებს მამა, სპორტ კომპლექსის მწვრთნელი მამუკა ზაქარაშვილი) და ზემოხანდაკელმა მისმა თანატოლმა ნიკო ჯანგიშერაშვილმა (მწვრთნელი ზაზა გორგაძე) 23-24 მარტს ქ. გორში გამართულ შიდა ქართლის მხარის 7-წლამდელ მოთამაშეთა შესარჩევ ტურნირში დაიკავეს, შესაბამისად, მე-2 და მე-3 ადგილები.

* საქართველოში კარატეს ოფიციალური დაარსების 40-წლისთავისადმი მიძღვნილ მე-9 საერთაშორისო ტურნირში – (23-24 მარტი) წარმატებით გამოვიდა კლუბი "კასპის" 3 ნორჩი სპორტსმენი: II საპრიზო ადგილებზე გავიდნენ გიორგი შერმადინი (6-7-წლიანთა შორის) და მარიამ მანძულაშვილი (10-11), ხოლო III ადგილზე – ლანა დავითაშვილი (8-9-წლიანები) – მწვრთნელი ალექსანდრე მანძულაშვილი.

* ბერდია ბახტაძის შეგირდმა – შვილიშვილმა, 12 წლის ცოტნე ბახტაძემ, მარტის მიწურულს გაიმარჯვა ქ. გურჯაანის ტურნირში (46 კგ კატეგორიაში). იქვე მე-2 შედეგი ჰქონდა 30 კგ-ში მოასპარეზე თემურ გოგრიჭიანს (მწვრთნელი ნუგზარ მამულაშვილი).

ჭიდაობა ძიუდო:

5-6 აპრილი, ქ. ტეპლიცე (ჩეხეთი) – ევროპის თასის გათამაშება (ჭაბუკთა შორის) - საქართველოს ნაკრების სახელით იასპარეზა ოთხმა კასპელმა სპორტსმენმა: გიგა ტატიაშვილმა, ირაკლი დემეტრაშვილმა, ბაქარ ერაშვილმა და ვალერი მღებრიშვილმა. მათგან ჩემპიონი გახდა გიგა ტატიაშვილი (+90კგ.), ხოლო მესამე საპრიზო ადგილზე გავიდა ირაკლი დემეტრაშვილი (+90კგ.).

* მარტის ბოლოს სტარტი აიღო საქართველოს საკალათბურთო პირველობის "ბ" ლიგის გათამაშებამ 14-წლამდელ გოგონათა შორის. შეჯიბრების დებიუტანტად მოგვევლინა სპორტკომპლექსის ახალბედა მოთამაშეთაგან შემდგარი გუნდი. ლალი ხარაიშვილისა და დიანა ბაშარულის გოგონებს, ცხადია, ამ ეტაპზე, წარმატებულ გამოსვლას ვერ მოვთხოვთ, მით უფრო, რომ მათ თამაშები უწევთ თბილისის "ბასტიონის" ორ, ქუთაისისა და ხაშურის გუნდებთან. ამდენად, თვით ჩვენი "კასპის" პირველად გამოჩენაა ნიშანდობლივი ფაქტი: რაიონის დონეზე ბრუნდება ქალ-გოგონათა კალათბურთი!

*საკალათბურთო "ბ" ლიგის გათამაშებაში მე-2 ტურის მატჩი გამართა, ასევე, 14-წლამდელ ვაჟთა გუნდმა (მწვრთნელი მიხეილ მაკეევიჩი): "კასპმა" 9 აპრილს თბილისური ახალი სპორტის სასახლის არენაზე დაამარცხა "თელავის" გუნდი 47-41. ჩვენი ბიჭებიდან თავი გამოიჩინეს: კაპიტანმა დათო ნიკოლიშვილმა (27 ქულა), ლაშა-გიორგი გულაროვმა (6), გიორგი წიკლაურმა (5)...

*გაგაცნობთ კიკბოქსინგის კლუბი "იმედის" მწვრთნელის – ოთარ თოიძის მოწაფეთა ვინაობას, რომლებიც მარტის ბოლოს წარმატებით გამოვიდნენ ქ. ახალციხის (მესხეთ-ჯავახეთის მხარე) საერთაშორისო ტურნირში (მონაწილეობდნენ ამიერკავკასიის სამივე რესპუბლიკის წარმომადგენლები). გვყავს 2 გამარჯვებული: გიორგი კუსრაძე (72 კგ) და ნიკა ბერიანიძე (32 კგ), ასევე, II ადგილის მფლობელი – გიორგი ახვერდოვი (35 კგ).

მათი ხსოვნის ტურნირები

ლევან ძამუკაშვილი
გუჯა გეჯაძე

* ლევან ძამუკაშვილის ხსოვნა

ასეთი წარმომადგენლობითი (მონაწილეთა გეოგრაფიული არეალის გათვალისწინებით) და ხანგრძლივი (მიმდინარეობის გრაფიკული დროის თვალსაზრისით) ასპარეზობა ჩვენს ქალაქში აქამდე ნამდვილად არ ჩატარებულა. დიახ, სპორტკომპლექსის დირექციის ძალისხმევამ და სამუშაო ჯგუფის წევრთა მონდომებამ განაპირობა თითქმის 12-საათიანი ხანგრძლივობის ტურნირის უნაკლო და უზადო ჩატარება. 14 აპრილს კასპში საქართველოს სხვადასხვა ქალაქიდან და მხარიდან 150-ზე მეტმა მოზარდმა სპორტსმენმა მოიყარა თავი. ყველა ასაკობრივი ჯგუფისა და წონითი კატეგორიის გამარჯვებულებსა და პრიზიორებს გადაეცათ 2013 წლის დეკემბერში მოულოდნელად დაღუპული კასპელი 16 წლის

პერსპექტიული კარატისტის – ლევან ძამუკაშვილის სახელობითი დიპლომები, ხოლო გუნდური ასპარეზობის გამარჯვებულ თბილისური კლუბ "ალიგატორის" ნაკრებს – დიდი თასი. ადგილობრივი "კასპის" წარმომადგენლები უფრო პირადი პირველობის ორთაბრძოლებში წარმოჩნდნენ: გაჩემპიონდა მედეა ხალიბეგაშვილი, მეორე ადგილი დაიკავეს გიორგი შერმადინმა და საბა ღვალაძემ, ხოლო მესამე - მარიამ მანძულაშვილმა, ლანა დავითაშვილმა და ზურაბ გოგიაშვილმა.

* ელგუჯა გეჯაძის სახელობისა: 2019 წლის 19 აპრილს მას დაბადებიდან 62 წელი შეუსრულდებოდა (19.04.1957 – 16.01.2016)... ორიოდე დღით ადრე კი მის ნათელ ხსოვნას პატივი მიაგეს მეგობრებმა და კოლეგებმა, თანასოფლელებმა და ვეტერანმა მოჭიდავეებმა.

ქ. კასპის საჭიდაო დარბაზში (ე. წ. "მრგვალში") ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პატრონაჟით გაიმართა ელგუჯა გეჯაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ქართულ ჭიდაობაში (2004-06 წლებში დაბადებულ სპორტსმენთა შორის).

მსგავს მემორიალურ ტურნირს კასპის ყველაზე ძველმა და საცირკო არენის მქონე დარბაზმა შარშან პირველად უმასპინძლა და სპორტკომპლექსის დირექციამ (დირექტორი გიორგი ნიპარიშვილი) ამჯერადაც ყველაფერი იღონა შეჯიბრების ორგანიზაციულ მხარეზე, რამაც განაპირობა სათანადო დონეზე მისი ჩატარება.

ქართული სპორტის ყველაზე ეროვნულ სახეობაში – ჭიდაობა "ქართულში" – სპორტის ოსტატმა ელგუჯა გეჯაძემ ყველაზე სტაბილურ შედეგებს გასული საუკუნის 70-იან წლებში მიაღწია, როცა გახდა საქართველოს ჩემპიონი, მოსწავლეთა შორის, "კოლმეურნის" საკავშირო საბჭოს პრიზიორი და "ქარიშხალას" სტუდენტთა სპარტაკიადის პრიზიორი... საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის ინსტიტუტის დამთავრების (1978 წ.) შემდეგ მუშაობდა კასპის რაიონის სოფელ ფერმაში – ფიზკულტურის პედაგოგად, მშობლიურ სოფელ მეტეხში – საჭიდაო სკოლის დირექტორის მოადგილედ... მოგვიანებით, ერთხანობას, მწვრთნელობდა: მის მიერ მომზადებულმა კასპის ნაკრებმა 1986 წლის იანვარში მოიპოვა სპორტსაზოგადოება "კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს გუნდური ჩემპიონობა ქართულ ჭიდაობაში,. აი, ვინ იყვნენ "მის" გუნდში: კახა ხოდელი, კახა ხორბალაძე, სპარტაკ და გიორგი გორგაძეები, ბერდია ბახტაძე, თეიმურაზ დვალიშვილი, ზაზა ლალიაშვილი და გელა კენჭუაშვილი.

2014 წლის ივნისიდან (გარდაცვალებამდე) ელგუჯა გეჯაძე იყო ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – კასპის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატი მეტეხის თემში; 2015 წლიდან – შპს "კასპის კეთილმოწყობის" დირექტორი. მისი სიცოცხლე ტრაგიკულად შეწყდა 2016 წლის იანვარში.

სათავეებთან

სიკვდილითა სიკვდილის დათრგუნვა

მართლმადიდებელთათვის (ქართველებისთვისაც) ქრისტეს მიერ სიკვდილითა სიკვდილის დათრგუნვა, მკვდრეთით აღდგომა უფრო დიდი აღტაცების მომგვრელია, ვიდრე მაცხოვრის განკაცება (ქვეყნად მოვლინება) ანუ შობა.

აღდგომა მართლმადიდებლური მისტიკის უდიდესი ზეიმია. აღარავინ დავობს იმაზე, რომ მართლმადიდებლობა აღმოსავლური ქრისტიანობაა; ქართველები კი დღესასწაულთა უპირატესობის აღიარებაში უფრო აღმოსავლელები აღმოჩნდნენ, რადგან სიკვდილისადმი დამოკიდებულების ფილოსოფიაც მათთვის თითქოს საზეიმო, ერთგვარად არარაციონალური ელფერით არის აღბეჭდილი. ასეთ მსოფლაღქმაში უთუოდ იკითხება მაცხოვრის მიერ კაცობრიობისათვის ჯვარცმისა და აღდგომის რემინისცენცია.

"ვეფხისტყაოსნის" სტრიქონები: "მე იგი ვარ, ვინ სოფელსა არა მოვკრებ კიტრად, ბერად, ვის სიკვდილი მოყვრისათვის თამაშად და მიჩანს მღერად," — მეორე ადამიანისათვის კეთილშობილური თავგანწირვის ამაღლებული სურვილიც გარკვეულწილად მხიარულ, დღესასწაულებრივ სიკვდილზე მინიშნებაა და სწორედ ზემოხსენებული ფილოსოფიითაა გამსჭვალული; რადგან ის, ვინც სიცოცხლეს სწირავს, სიკვდილის მერე ხელმეორედ იშვება სასუფეველში, ანუ მარადიულ სიცოცხლეს მოიპოვებს. აღდგომის დღესასწაულის აღნიშვნის დღე 325 წელს გამართულმა ნიკეის საეკლესიო კრებამ დაადგინა. იგი მოძრავია და ემთხვევა გაზაფხულის ბუნიობის შემდგომ, სავსე მთვარის მომდევნო კვირადღეს, ებრაული პასექის სწორს.

მეცნიერთა აზრით ქრისტიანული აღდგომა სწორედ ებრაული პასექიდან იღებს საწყისს. ამ დღესასწაულს ჯერ კიდევ ათასწლეულების წინ ებრაული მესაქონლე ტომები გაზაფხულზე აღნიშნავდნენ — საძოვრების ნაყოფიერებისათვის ისინი ბატკანს სწირავდნენ მსხვერპლად, ხოლო ძველი წელთ. აღ-ის XIII საუკუნიდან, ანუ მას შემდეგ, რაც ებრაელები ბინადარ ცხოვრებაზე გადავიდნენ, პასექი უმნიშვნელოვანეს საღმრთო დღესასწაულად იქცა. მოგვიანებით კი პასექს შეერწყა ებრაელი ხალხის მხსნელის (მესიის) მოსვლის იდეა.

ადგილი იერუსალიმში, სადაც სიკვდილით სიკვდილი დაითრგუნა, სადაც მამამ ძეს მისი კუთვნილი თასი არ ააცილა, არის გოლგოთა, ანუ აღდგომის სავანე. ახ. წელთაღრიცხვის IV საუკუნეში აღმოსავლეთ რომის (ბიზანტიის) იმპერატორმა კონსტანტინე დიდმა იქ, სადაც ჯვარს აცვეს და დაფლეს მაცხოვარი, ბაზილიკა ააგო. შემდეგ ამ ადგილას მრგვალი ტაძარი აშენდა — წმინდა გოლგოთისა და აღდგომის ეკლესია, ასევე სხვა ნაგებობები. მაცხოვრის აღდგომის სავანე მთელი საქრისტიანოსათვის წმიდათა წმიდა ადგილად მიიჩნევა. მის პატრონობას არა მხოლოდ ქრისტიანი ერები ეცილებოდნენ ერთიმეორეს, არამედ მაჰმადიანებიც.

აღდგომის სავანეში დროდადრო ძლიერდებოდა ქართველთა გავლენა. ჯვაროსნული ლაშქრობების დაწყების შემდეგ, მაშინ როცა საქართველო გაერთიანდა და გაძლიერდა, აღდგომის სავანე ქართველთა ხელში იყო. XI საუკუნეში ჩვენს წინაპრებს აქ საკუთარი ეპისკოპოსიც ჰყოლიათ, რომელიც საისტორიო წყაროებში გოლგოთელადაა მოხსენიებული. აქ ქართველ მოღვაწეებს დიდი მწიგნობრობაც გაუჩაღებიათ. "სანახებსა წმიდისა აღდგომისასა" მრავალი წიგნი დაწერილა თუ გადაწერილა.

ქართველები თითქმის მუდამ მიიჩნეოდნენ "მფარველად და ქტიტორად" გოლგოთისა და აღდგომის სავანისა. თუმცა იქ მყოფებს ერთთავად უწევდათ ბრძოლა თავიანთი უფლებებისა და კუთვნილი მიწების დასაცავად. ამას ხშირად წერილობითაც აფიქსირებდნენ (მაგ., "გოლგოთის სვინაქსარი"). "ძეგლი ერისთავთა და სხვა ისტორიული წყაროები" (უცხოური თუ ქართული) მოგვითხრობენ, რომ XIV საუკუნის 20-იან წლებში ქართველებს ქრისტეს საფლავის კლიტე მოუპოვებიათ და ერთი საუკუნის განმავლობაში ფლობდნენ მას.

აღდგომის სავანის — მაცხოვრის საფლავის ყველაზე დიდი მისტიკური საიდუმლო, რომელსაც "ჭკვიანნი ვერ მიხვდებიან", არის ცით გარდამოვლენილი ღვთაებრივი ცეცხლი — კიდევ ერთი დასტური დათრგუნვილი სიკვდილისა, ცოდვების დამარცხებისა, ცათა სასუფევლის არსებობისა და თვით აღდგომის ჭეშმარიტებისა.

მცხეთა ერთ-ერთი პირველი ქალაქთაგანი იყო, სადაც ახალ რელიგიას თავიდანვე, ჯვარცმიდან უახლოეს ხანებში გულმხურვალე მორწმუნენი გამოუჩნდნენ. პირველ საუკუნეში მცხეთაში ისრაელის მიწიდან დევნილ ებრაელთა მრავალრიცხოვანი თემი სახლობდა.

მცხეთელი ებრაელები ხშირად მოგზაურობდნენ ისტორიულ სამშობლოში. ისინი ღირსეული მოქალაქეები იყვნენ, თვით ქართლის სამეფო კარზე დაფასებულნი. სწორედ წარჩინებული ებრაელები იქცნენ ქართლში პირველ ქრისტიანებად.

მრავალი წყაროს დამოწმების საფუძველზე ივანე ჯავახიშვილი დაასკვნის: "ცხადია, რომ ქრისტიანობა საქართველოში ადრითგანვე უნდა გავრცელებულიყო, გაცილებით იმაზე ადრე, ვიდრე იგი IV საუკუნის პირველ ნახევარში სახელმწიფო სარწმუნოებად იქნებოდა ცნობილი".

I საუკუნეში მეფე ჰეროდეს მოწოდებით მთელ მსოფლიოში გაბნეულ ებრაელთა მრავალი წარმომადგენელი იერუსალიმში გაემგზავრა, რათა ენახათ "ცრუ წინასწარმეტყველი," რომელიც საკუთარ თავს სამყაროს მხსნელსა და ღმერთის ძეს უწოდებდა.

მანამდე ქართველ ებრაელებს უკვე სმენოდათ, რომ გამოჩნდა კაცი, რომელიც მდინარე იორდანეში იოანე ნათლისმცემელმა მონათლა და ამ დროს სასწაულებიც მოხდა: მდინარეები აღმა წავიდნენ, ზღვის მიმოქცევა შეწყდა, ამოძრავდნენ მთები და სხვა. ჰეროდეს სურდა ეს კაცი არა მხოლოდ იუდეის მცხოვრებთ შეეჩვენებინათ, არამედ ისრაელის სხვა ტომთა შთამომავლებსაც. ამიტომაც სხვა ქვეყნებს შეფარებული ებრაელები იერუსალიმს გაემგზავრნენ.

"შატბერდის კრებულის" მიხედვით ქართველი ებრაელები მაცხოვრის ჯვარცმას დაესწრნენ. მათ შორის იყვნენ ელიოზ მცხეთელი და ლონგინოზ კარსნელი. ეს ორი ადამიანი შემდგომში ქართული საისტორიო მწერლობის, ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებებისა თუ ფრესკული მხატვრობის პერსონაჟებად იქცა.

ელიოზ მცხეთელის მოხუცმა დედამ შვილის გამგზავრებამდე იცოდა, რომ ახდა ბიბლიური წინასწარმეტყველება და ღმერთი განკაცდა... იერუსალიმში მიმავალს იგი შეევედრა, რომ ელიოზს არამც და არამც არ ჩაედინა მომაკვდინებელი დანაშაული და იესო ქრისტეს ჯვარცმაში არ გარეულიყო, რადგან ის იყო მხსნელი სოფლისა, ძე ღვთისა.



როგორც საისტორიო წყაროები იმეორებს, ელიოზს მართლაც უშუალო მონაწილეობა არ მიუღია მაცხოვრის ჯვარცმაში. ქართლიდან წარგზავნილი ებრაელები იმ მოვლენის დამკვირვებლებად გვევლინებიან, რომელმაც სამყარო შეცვალა...

შემდეგ კი, როცა "კვართსა ... ზედა განიგდეს წილი," მასში ელიოზ მცხეთელიც გაერია. ხელთუქმნელი კვართიც სწორედ მას ერგო. ქართველი ებრაელები ქართლისკენ გამოემართნენ და ქრისტეს აღდგომიდან ძალიან მალე სიწმინდე მცხეთას მოაბრძანეს. ელიოზის მოხუცი დედა გარდაცვლილიყო.

მოგზაურს შინ მართლმორწმუნე და — სიდონია ელოდებოდა. ელიოზ მცხეთელმა მას უფლის შესამოსელი გადასცა. ქალმა კვართი გულზე მიიხუტა, ემთხვია და ცრემლით დაალტო, მერე კი უმალვე სული განუტევა. მას ისეთი ძალით ეპყრა ხელთ ქრისტეს სამოსი, რომ მისი გამორთმევა ვერავინ შეძლო.

ხელთუქმნელ კვართს თვით მეფეც (ქართლის ცხოვრების ცნობით ადერკი, იგივე მიჰრდატი) მოუხიბლავს, მაგრამ სასწაულებრივად ჩაბღუჯული ქსოვილი ვერარა ძალამ განაცალკევა ებრაელი ქალის ხელთაგან. ამიტომ სიდონია ძმამ ქრისტეს პერანგთან ერთად დამარხა. საფლავზე განსაცვიფრებლად მძლავრი და ლამაზი ხე ამოვიდა.

ქართლის ცხოვრება მას ლიბანის ნაძვს უწოდებს, რომელიც უიშვიათესს კეთილსურნელებას აფრქვევდა. იქ, სადაც ოდესღაც ებრაელთა სასაფლაო იყო, სამი საუკუნის შემდეგ უკვე სამეფო ბაღი და სასახლე მდებარეობდა. სწორედ ეს ადგილი დასახა წმ. ნინოს რჩევით ეკლესიის ასაშენებლად ქართლის პირველმა ქრისტიანმა მეფემ — მირიანმა.

კვართის დაფვლის ადგილზე ამოსული ხისაგან ამ ქვეყნის პირველი ქრისტიანული ტაძარი, სვეტიცხოველი აშენდა.

მარინა ყიფშიძე.

სააღდგომოდ ანუ ენდროსფერი მოგონება

აღდგომის დღესასწაულს ყველა ქრისტიანი დიდი სიხარულით ხვდება. მათ იციან, რომ ქრისტე სამი დღის განმავლობაში აკლდამაში ესვენა და შემდეგ აღდგა. საგანგებო წირვა-ლოცვისა და ლიტანიობის გარდა, აღდგომას ყველა ქვეყანაში სხვადასხვანაირად აღნიშნავენ.

ალბათ, იცით, საქართველოში ქრისტიანები კვერცხებს წითლად ღებავენ. მართლმადიდებლები ფიქრობენ, რომ მხოლოდ წითელი ფერია დასაშვები. თუმცა, ზოგიერთი ადამიანი უცხო ქვეყნებში კვერცხებს სხვადასხვა ფერადაც ღებავს.

ჩვენს ქვეყანაში კვერცხების შესაღებად ენდროს იყენებენ. უფროსები წინასწარ მიდიან ბაზარში ან მაღაზიაში და ამ უცნაურ მცენარეს ყიდულობენ, რომელიც მოხარშვისას მუქ წითელ ფერს უშვებს. ენდროს გასაოცარი სუნი აქვს, თუმცა, ვერ ვიტყვით, რომ მაინცდამაინც მადისაღმძვრელი.

ენდროს სუნი მიწის და სხვადასხვა ბოსტნეულის სურნელს ერთად მოგაგონებს, მაგრამ სინამდვილეში, არც ერთის მსგავსია.

როცა ენდრო ადუღდება, უფროსები ქვაბში კვერცხებს აწყობენ. ბავშვების საყვარელი საქმიანობა მათი ყურება, ანდა მოხმარებაა. რა თქმა უნდა, ძალიან სასიამოვნოა კვერცხების წითლად შეღებვაში მონაწილეობის მიღება, თუმცა, მდუღარე წყალს უფრთხილდი.

როცა კვერცხები შეიღებება, უფროსები მას სამი დღის განმავლობაში ინახავენ. ეს იმიტომ, რომ კვერცხები არა აღდგომას, არამედ წითელ პარასკევს, აღდგომამდე სამი დღით ადრე იღებება. ყველაზე რთული ახლადშეღებილი კვერცხების ყურებაა, რადგან, მათ ხელი არ უნდა ახლო. აღდგომის დადგომის მერე კი შეგიძლია იმდენი კვერცხი აიღო, რამდენიც გაგეხარდება.

საქმე იმაშია, რომ სანამ პატარები ვართ და აღდგომის დღესასწაულის მნიშვნელობა ჩვენთვის გაუგებარია, წითელი კვერცხებით ვერთობით. თუმცა, აღიარე, რომ ძალიან გიხარია აღდგომის დილის გათენება. შეიძლება იმიტომ, რომ ახლადგამომცხვარი პასკის სუნი გაღვიძებს, ანდა, ერთი სული გაქვს, წითელ კვერცხებს როდის დაეპატრონები. ან, იქნებ იმიტომ, რომ ამ დღეს შენი ოჯახის ყველა წევრი განსაკუთრებულად კარგ ხასიათზეა, ბევრად უფრო კეთილები და ყურადღებიანები არიან, ვიდრე ჩვეულებრივ.

უფროსები ერთმანეთს ურეკავენ, ანდა, მეზობლებს და ნაცნობებს შეხვედრისთანავე ეუბნებიან – ქრისტე აღდგა! ისინი კი გაღიმებულები მიაძახებენ: – ჭეშმარიტადო.

ამ დროს, ჩვენ, ბავშვები კვერცხებით ხელში დავრბივართ და ვცდილობთ, ყველა სხვა კვერცხი გავტეხოთ. ძალიან ყურადღებით ვამოწმებთ კვერცხის წაგრძელებულ თავს,

კბილებზე ვიკაკუნებთ და ვარკვევთ, რამდენად მაგარია ჩვენი კვერცხის ნაჭუჭი. მოკლედ, აღდგომა შეჯიბრებად გადაიქცევა ხოლმე; ყველაზე კარგი კვერცხი უნდა აირჩიო, რომლითაც დანარჩენი ბავშვების კვერცხების “დამარცხებას“ შეძლებ; ეცადე, კარგად დაუმიზნო და გვერდით არ ჩაურტყა.

მთავარია, არ გამოგრჩეს ამ შეჯიბრების “უსამართლო“ მონაწილეები, მათ შეუძლიათ ყველა კვერცხის ნაჭუჭი ჩაამტვრიონ. არა იმიტომ, რომ მათი კვერცხი ყველაზე კარგია, არამედ იმიტომ, რომ ის საერთოდაც, ხისაა!!!

დიახ, ზოგიერთი ბავშვი ხის კვერცხებით ცდილობს გამარჯვებას. მე რამდენიმე წელი დამჭირდა იმისთვის, რომ ერთი შეხედვით მივმხვდარიყავი, მოწინააღმდეგის კვერცხი ხის იყო თუ ნამდვილი.

ჯერ ერთი, ხის კვერცხს უცნაური ფერი აქვს, ოდნავ ხელოვნური, რომელიც საერთოდ არ ჰგავს ენდროთი შეღებილს. კიდევ, ხის კვერცხებს ფორმაც არაბუნებრივად დახვეწილი და მომრგვალებული აქვთ, ასე რომ, არ შეცდეთ!

აღდგომის დამთავრებისას შესაძლოა ისე შეგიყვარდეთ თქვენი ყველაზე ლამაზი და ძლიერი კვერცხები, რომ მათი შეჭმა დაგენანოთ და შენახვაც კი გადაწყვიტოთ.

ერთხელ ასეთი შეცდომა მე და ჩემმა დამაც დავუშვით. ჩვენი კვერცხები ლამაზ ყუთში ჩავალაგეთ და საწოლის ქვეშ დავმალეთ, უფროსებს რომ არ ეპოვათ. ყოველ საღამოს ყუთს ვნახულობდით და კვერცხებს ვათვალიერებდით ხოლმე. რამდენიმე კვირის შემდეგ ჩვენს ოთახში ძალიან ცუდი სუნი იდგა, თუმცა, ვერ ვხვდებოდით, რომ ამის მიზეზი გაფუჭებული კვერცხები იყო.

მოკლედ, ჩვენმა მშობლებმა საიდუმლო ყუთი იპოვეს და დაძველებული კვერცხები გადაყარეს. ასე რომ, ნამდვილად არ გირჩევთ სააღდგომო კვერცხების შენახვას და მათი ცქერით დატკბობას.

აჯობებს, შემდეგ აღდგომას დაელოდოთ და ისევ იმხიარულოთ, ეს დღესასწაული ხომ წელიწადში მხოლოდ ერთხელაა!

სიყვარულით “კეხურა”.

30 წლის შემდეგ ...

ჯერ კიდევ 30 წლის წინ ვიცოდი, რომ წაკითხული მომავალი იგივეა, რაც მომაბეზრებელი სუბიექტური მონოგრაფია... მაგრამ, არ ვიცოდი, რომ პატრიოტიზმი შეიძლება გამოიყენო ყველაფრისთვის სამშობლოს სიყვარულის გარდა...

უნდობლობა, უიმედობა ყოველთვის ღრღნის აწმყოს, მაგრამ არსებობს საყრდენი - ჯიუტი რწმენა (კიდევ კარგი!) უკეთესი მომავლისა.

სამოქალაქო, თუ ანექსიურ ომებში გამოწრთობილი შინაგანი სიმტკიცე, თაობიდან თაობაზე გადმოცემული სისხლში გამჯდარი პატიოსნება ფიროსმანის ნახატებზე მძაფრად ხატავს ჩვენი ყოფის შეულამაზებელ ამბავს. მეცნიერებისა და ხელოვნების გაუაზრებელი სინთეზი, იოლადმრწმენთა მიუღებელი ხვედრი, დარღვეული პროპორციების აღდგენის სურვილი და ელიფსზე მოძრაობისას წონასწორობის შენარჩუნებაზე ფიქრი ... ეს მცირე ჩამონათვალი ჩინებულად იტევს ინტელექტუალთა დროში გავრცობილ მოლოდინებსა თუ იმედგაცრუებებს.

თუმცა, არსებობს საბაზრო ეკონომიკის მკაცრი სინამდვილე, სადაც არიან ადამიანები, რომელთაც ყოველღიური საფიქრალი ცხრათავიანი დევივით ყოველცისმარე ახალი ჯ ა დ ო ს ნ უ რ ი ძალით აბრუნებს რეალურ ცხოვრებაში; სადაც თენდება სარჩოსა და წამლის ფულზე ფიქრში, ღამდება ღმერთის და სიმართლის გაბრწყინების იმედით.

რთულად ისმინება, მაგრამ ნამდვილად ზუსტად გამოხატავს სათქმელს - რაოდენობრიობა იძენს თვისობრიობის ხარისხს ე.ი. ბევრჯერ რომ მოიტყუე თავი, შენ თვითონ აირჩიე აუტსაიდერის უმოქმედო მდგომარეობა.

გვიჭირს დაჯერება მაგრამ ფაქტია გაჩნდა “საზოგადოება” ფეისბუკით რომ იღებს განათლებას, პარალელურად გაჩნდნენ მცირედ განათლებული ფეისბუკ “ლიდერები” თვალში ნაცრის შეყრის პრინციპით რომ ცდილობენ ზემოქმედებას “ფრენდებზე”, მაგას ვინ ჩივის (თავისი აღზრდით!) დიალას ოპონენტთა გინებით იწყებენ, “ფრენდები” კი ფეისბუკ მორჩილებით ახალი საქმის დაწყებას ულოცავენ (ჯერ მათთვის სახელდებით ხომ არ მოუწვევია მშობელთა კრება...).

როცა დიდხანს ცოცხლობ, როცა მეტნაკლებად არჩევ გათითოკაცებულ ერისკაცებსა თუ მედროვეებს, როცა იცი, რომ სახლში ქვისა და კაკლის ქონაზე მნიშვნელოვანი ღირსების შენარჩუნება და უბრალოდ კარგი ქართველობაა ... იღებ “ტაიმ აუტს”... ვის მიუთითებ მორალზე თანაც მათ მომავალში სადაც გამალებულად აგროვებენ ქვასა და კაკალს, რა დროს სამშობლოა...

ნუთუ “ჟანგმა მიწა(ც)” შეჭამა, ჩვენ კი კაკლის მოტაცებაში გამეცადინებულ წრუწუნებს დავემსგავსეთ ცნობილი ქართული მულტფილმიდან.

იქნებ ხელოვნურადაა შექმნილი “უჰაერო სივრცე”? ეს კოსმოსური მუდმივაა და არა ვირტუალური სამყაროს წარმონაქმნი, ეს არის დრო, როცა ხვდები, გაქრა გაურკვეველი პირველი შთაბეჭდილების ხიბლი, თვალებმა კარგა ხანია დაისწავლეს უმცირეს ნიუანსთა გარჩევა, სულ უფრო გაჭირდა თავის მოტყუება, თავად შიში გაქრა, რადგან დრომ უხალისოდ და თავისდაუნებურად გასცა გონიერების ათვლის წერტილი - მართლაც, მოძრაობა და მხოლოდ მოძრაობა ყოფილა ჩვენი ცხოვრების ძალისა და ღონის მომცემი, სხვა დანარჩენი ტყუილია.

კიდევ კარგი, ჯერ კიდევ ლეთარგიების (ლეთარგია - ავადმყოფური მდგომარეობა, რომელიც ჰგავს ღრმა ძილს; დამახასიათებელია უმოქმედობა, გარე გამღიზიანებლებზე რეაქციის უქონლობა და მისთ.; შეიძლება გრძელდებოდეს რამდენიმე საათს ან რამდენიმე დღე) მიღმა არსებობს სივრცე, სადაც ადამიანები უ ა ნ გ ა რ ო დ ზრუნავენ ერთმანეთზე, უყვართ, აქვთ სიმართლის და პატიოსნების განცდა და სამშობლოს სიყვარული მერკანტილურ კალაპოტში არ გამოუმწყვდევიათ, ჩოხა არ აცვიათ, მაგრამ ყველა იმ სიკეთეს ატარებენ, თაობიდან თაობაზე გადმოცემულ სისხლში გამჯდარ პატრიოტიზმს რომ ახლავს; 9 აპრილსაც დავალების გარეშე იკრიბებიან და პატივს მიაგებენ უახლესი ისტორიის გმირებს.

1989 წლის 9 აპრილს, მთავრობის სახლის წინ შეკრებილი ერი და ბერი მზად იყო თავი გაეწირა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის... აკი 21 ქართველი მოკლეს ... დანარჩენები გადავრჩით და ყოველ ცისმარე თუ არა, ყოველ 9 აპრილს გვაქვს საშუალება საკუთარ თავს ვუთხრათ - მოვესწარით საქართველოს დამოუკიდებლობას!

კიდევ კარგი!

კიდევ კარგი, არსებობს სივრცე, სადაც არსებობას აგრძელებს ის, რაც მაქციამედროვეების დიდი მეცადინეობით დროთა განმავლობაში, პერმანენტულად განიდევნა რეალური ყოფიდან, მაგრამ მაინც ინარჩუნებს არსებობას, როგორც ეროვნული თვისებებისა და ხასიათის ღრმა განცდა...

ნანა მერაბაშვილი.

მარჯი გამარჯვებულს

"მარჯი" - ძველქართული ტერმინი, საიდანაც წარმომდგარია "მარჯვენა" და "გამარჯვება" (საპირისპიროდ "მარცხენისა" და "დამარცხებისა".)

ამ ქართველი ვაჟკაცის ფიზიკური შესაძლებლობები ამოუცნობია. შეჯიბრებიდან შეჯიბრებამდე აოცებს ევროპასაც და მსოფლიოსაც. შავიზღვისპირა ბათუმშიც ახლახან ბითუმ-ბითუმ

"დაამძიმა" ევროპა მსოფლიოს რეკორდებით. ის მხოლოდ ერთი გვარის, ოჯახისა და ქვეყნის შვილი აღარაა. ძალოსნობის განვითარების სადღეისო ეტაპზე მისი თავკაცნი, ჩვენებური დევგმირის შედეგების გამო, ახალ კვალიფიკაციებსა და რეგულაციებს იგონებენ, ლაშა კი მისებურად მუსრავს მეტოქე მოფიცარნაგეებს და რომელ ქვეყნებშიც ზედიზედ ფანტასტიკურ რეკორდებს აფიქსირებს, იქაური სპორტის მოხელეები ჩვენებურს სულაც საპატიო მოქალაქედ უნდა ირჩევდნენ, ესოდენი რეკლამირება — წარმოჩინების საფასურად და სამაგიეროდ. საგაისო ტოკიოს ოლიმპიადა? — უცხადესი რეალობაა: "იაპონია – 2020" ლაშასია! მერე კიდევ და კიდევ! ძალოსნობაში "ასი" ჩემპიონი და აწ გალეგენდებული მწვრთნელი გიორგი ასანიძე მისგან დასტურს იღებს, — შტანგას დააწონეთ, რამდენიც გინდათ და შეუკვეთეთო ნებისმიერი სიმძიმე!

შენ გაიხარე, საჩხერელი კობა ტალახაძისა და ჟანა თოდაძის უსაამაყესო ძეო და ყველა ქართველის შვილო, ქართველი კაცის გულის გახარებისათვის, გაამაყებისათვის! შენ სახელზე კასპშიც ავაფრიალეთ დროშა და სადღეგრძელოებსაც იმდენჯერ "ავწევთ", რამდენჯერაც გვაქართველებ! რამდენჯერაც ახალ რეკორდებს მიუძღვნი შენი გულის ქალბატონებს — ანი დემურიასა (მეუღლეს) და ჯერეთ ნეკოდენა მარიამს (წლევანდელ მარტში სამზეოზე მოვლენილ ასულს)!

ა. ტალახაძე.

ვინ არის ვაკო იაშვილი?

ვალერიან (ვაკო) იაშვილი (უმცროსი) კავთურისხეობელი ძველთაობელი მოჭიდავეების ჩამომავალია:

— ის ახლახან გამოჩნდა ქართული ძიუდოს ახალგაზრდული ნაკრების სახლში და თბილისური "გრან პრის" კვარცხლბეკზე პირველი მედალიც აიკიაფა მკერდზე;

— ის შვილია ახლო წარსულში ცნობილი მოჭიდავისა — სარდიონ იაშვილისა: სამბოში ევროპის ჩემპიონისა და მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონისა!

— ის შვილიშვილია აწ განსვენებული ვალერიან იაშვილისა: ცნობილი მოჭიდავისა და მსაჯისა! იმ პაპისა, რომლის სახელობის ღია საჭიდაო არენის გახსნისას (2013) პატარა ვაკომაც იჭიდავა და სადებიუტო გამოსვლით აუწყა ჭიდაობის გულშემატკივრებს, — კიდევ ერთი იაშვილი მოვდივარ, უკვე ჩემი რიგია!

— ის შთამომავალი და ახალძლიერი ნერგია პეპერებისა (პაპა ვალერიანის პაპებისა): იმ ლუკა იაშვილისა — ვინც კავთისხევში ერთხელ, თურმე, ქართულ კლასიკურ მწერლობაში "მთის არწივის" სახელით ცნობილ ვაჟა-ფშაველას (იგივე ლუკას, რაზიკაშვილს) დაჭიდ(ილ)ებია! იმ ლონდრე მონასელიძისა — ვისაც ხშირად უჭიდავია "მეფის ქალაქში", სოფელ ახალქალაქში (თეძმის ხეობაში) იქაური 100-წლოვანი კაკლის ჩრდილოვან

ქოლგაქვეშ, გასული საუკუნის გარიჟრაჟზე!..

ახლაც ხომ სხვა საუკუნე აითვლება ახალთაობელი იაშვილების სპორტულ გამარჯვებათა მაუწყებლად.

ნიჭიერებისა და ერთგულების ბარომეტრი

ბევრს უკვირს, მათ შორის მეც, რა უშრეტი ენერგია და ძალღონე ანდა, რა ნებისყოფა აქვს ამ ადამიანს რომ პენ-

სიაზე გასვლის შემდეგაც უდიდესი რუდუნებითა და სიყვარულით, დაუღალავად ერთგულებს კალამს.

აი, ახლაც ცხადად მიდგას თვაწინ მისი "ფეისბუკელი" თანამოაზრეები /მარტო კასპში კი არა, რესპუბლიკის მასშტაბით/, რომლებსაც გამუდმებით ეხმიანება, მეტიც, ყველას ასწრებს და უშურველად უნაწილებს თავის გულის სითბოსა და სიყვარულს...

სხვათა შემოქმედებისა და წარმატების უანგარო, პირუთვნელ დამფასებელს, თავადაც ნიჭიერ კალმოსანს, არაერთი საინტერესო წიგნისა და შესანიშნავი პუბლიცისტური ნაწარმოების, მოთხრობისა თუ საუცხოო პოეზიის ავტორს, ქართული ლიტერატურისა და კულტურის თაყვანისმცემელსა და დამცველს, ჩვენს კოლეგასა და უერთგულეს მეგობარს ქალბატონ ნორა ედიშერაშვილს საქართველოს მწერალთა შემოქმედებითმა კავშირმა ნაყოფიერი შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის ღვაწლმოსილის წოდება მიანიჭა...

ეს დიდი აღიარება, დაფასება ნამდვილად არ გაჰკვირვებია იმ მრავალრიცხოვან მკითხველს, ჩვენს საზოგადოებას, მათ, ვინც კარგად იცნობს ცნობილი ჟურნალისტისა და საამაყო ავტორის მოღვაწეობას...

გულითადად ვუერთდებით ღირსეული შემოქმედის სიხარულს და ჩვენს კოლეგას ვუსურვებთ ჯანმრთელობას და შემდგომ წარმატებებს.

რუსუდან ხეჩუაშვილი.

ფეისბუკ ციტატა

ნინო კვაჭანტირაძე

"ჰეი, თქვენ, ვინც ნიღბებს იკეთებთ, გახსოვდეთ, რომ სწორედ იმ წამს ძალიან შიშვლდებით."

"ისე ვექცევი ჩემს თავს, თითქოს გზაზე თუნუქის კოლოფს მოვაგორებდე."

"თუ შენი თავი თან გახლავს, კარგად ვერ იქნები."

"გაუშლელი ფრთები მაწუხებს."

"სიგლახეს ნუ ებრძვი ჩემო თავო, თორემ დაემსგავსები."

"ადამიანები, როცა მართლებია, ცალ-ცალკე არიან, როცა ტყუიან ერთად."

"ავანტიურა, რომელიც ჩვენ წამოვიწყეთ, ცხოვრება აღმოჩნდა".

"უდანაშაულოს ცრემლი სამყაროსხელაა!"

ბესიკ ხარანაული ჩემთვის და ყველასთვის!!

სასკოლო სპორტული ოლიმპიადა 2019

ოლიმპიადის მეოთხე ეტაპის მოლოდინში

წარმატებით აგრძელებენ ასპარეზობას კასპის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების გუნდები... დასასრულს უახლოვდება სასკოლო სპორტული ოლიმპიადის მესამე ეტაპი /რეგიონალური პირველობა/.

ფრენბურთი /გოგონები/, პირველი ადგილი: სასირეთის საჯარო სკოლა, დირექტორი ნანა ბარნაბიშვილი, ფიზ. აღზრდის მასწავლებელი ნიკოლოზ მაზმიშვილი.

ფრენბურთი /ვაჟები/, პირველი ადგილი: დოესის საჯარო სკოლა, დირექტორი იზოლდა ციცაგი, ფიზ. აღზრდის მასწავლებელი გოგი ბერძენიშვილი.

მაგიდის ჩოგბურთში და ბადმინტონში გოგონებშიც და ვაჟებშიც

პირველი ადგილი დაიკავა ახალციხის საჯარო სკოლამ, დირექტორი მაია ბროლაძე, ფიზ. აღზრდის მასწავლებელი შამილ ჯანგიშერაშვილი.

ჩვენს მოსწავლეებს ვულოცავთ ამ გამარჯვებებს და წარმატებებს ვუსურვებთ ოლიმპიადის მეოთხე ეტაპზე / ზონალური პირველობა/.

შეგიძლიათ, მოგვაწოდოთ თქვენი შვილების, შვილიშვილების ორიგინალური ფოტოები, ნახატები, აზრები. ისინი გამოქვეყნდება ჩვენს გაზეთში.

გამოიწერეთ ,,ახალი განთიადი,,!

გახდით ჩვენი მკითხველი!

რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ

გაზეთი იბეჭდება შ.პ.ს. კოლორ პრესში

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
სტატიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოტანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
სარეკლამო მასალებისა და განცხადებების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს.
რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

რედაქტორი ნანა მერებაშვილი

რედაქციის მისამართი: 2600 ქ კასპი სააკაძის ქ. № 68 ტელეფონი 22-25-76